


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 28 ივლისი 2, 1895 წ. № 28

შინაარსი — ჩვენი ახალი სამეურნეო სამრეწველო ბანკის გამგეობა. — სხვა-და-სხვა ამბები. — საყურადღებო ამბები: — კაკაჩი. — ბახვი. — ასკანა. — სამტრედია. — სადგ. ქურდიმარი. — ბრეძა. — ბარის ოსეთი. — ქსნის ხეობა. — გოგო, რა გოგო?, ლექსი გორეცკისა. — ზეპირ-სიტყვაობა. — მეფე სოლომონ იმერეთისა დიდ სოლომონად წოდებული (გაგრძელება). — [illegible] და მისი კარები — „მოამბე“, „ივერია“ და ეროვნება ნ. ჟორდანიასი. — საშინელი ქარიშხალი დუტუ მეგრელისა.

## „კვალი“

ხელის მოწერა „კვალზე“ ამ 1895 წელს განიგრძობა წლიურათ და ღირს 8 მანეთი. ვისაც მეორე ნახევარი წლის ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქარონ ფულის შემოტანა, ხოლო ვისაც ჰსურს გაზეთის ახლად დაბარება ნახევარი წლით დამდეგის ივლისის თვიდან, უმორჩილესად ვთხოვთ მათ დროით შეგვატყობინონ.

გაზეთი ნახევარი წლით ღირს გაგზავნით 4 მანეთი, სამი თვით — 2 მანეთი, ორი თვით - 1 მანეთი და 50 კ., ერთი თვით - 1 მანეთი, ადრესის გამოცვლა ღირს 60 კ.

## ჩვენი ახალი სამეურნეო სამრეწველო ბანკის გამგეობა

ივნისის 25 სამეურნეო სამრეწველო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეთ ამოირჩიეს ცნობილი მომრიგებელი მოსამართლე, ნ. დ. ზუბალაშვილი. ქართველთა საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ამ ამორჩევით, რადგან ფიქრობს, რომ სამეურნეო ბანკს კარგათ დააყენებსო. საჭიროა, ვიკითხოთ, რა არის ბანკის კარგათ დაყენება?.. ბევრს სულ სხვა-და-სხვა-ნაირათ ესმის ეს „კარგათ დაყენება“. ზოგი სიკარგეს იმაში ხედავს ბანკისას, თუ ბევრი სესხი გასცა, ბევრი ფული დაატრიალა და მოგება ბევრი შემოვიდა. მაგრამ სამეურნეო ბანკის კარგათ დაყენება ბევრი ფულის დატრიალება კი არ არის, არამედ ბევრი სესხის გაცემაა სოფლელ მწარმოებლებზე და წვრილმან ქართველ ხელოსნებზე. უამისოთ ეს ბანკი თავის დანიშნულებას ვერ აასრულებს და, თუ სოფლის მეურნეობა და მრეწველობა არ ექნა მხედველობაში, შესაძლებელია, იგი გახდეს ვაჭრების და ჩინოვნიკების დამხმარეთ, ესე იგი გახდეს მეურნეო-

ბის საწინააღმდეგო იარაღათ და არა იმის საშველათ. ამის გამო გამგეობა ყველაზე უმალ უნდა შეუდგეს თავის სამეურნეო და სამრეწველო მოსაზრების შემუშავებას. იმან უნდა გამოსცეს ყველაზე პირველათ ინსტრუქცია, რომლითაც დაცული იქნება ჩვენი მიწათ-მოქმედების და სამეურნეო ალებ-მიცემობის ინტერესები.

სანამდის ახალი ბანკის გამგეობა ყოველნაირი ჭირნახულის საწყობებს (დეპოებს) არ გამართავს ქალაქებში, რომ სოფლელებმა აქ ჩამოიტანონ თავისი ჭირნახული და მიიღონ ბანკიდან, ვიდრე ჭირნახული კარგ ფასათ გაიყიდებოდეს, ორი მესამედი ღირებულისა, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი შემდეგ გაყიდვისათვის, სანამდის თვით ბანკის გამგეობა, ამ საქმეს ფეხზე არ დააყენებს და დეპოების მზრუნველ პატრონათ არ გახდება, მანამ ჩვენ მაგ სამეურნეო ბანკის არა გვწამს რა, მანამდის იგი უფრო მეორე საურთიერთო საკრედიტო დაწესებულება იქნება, რომელშიაც ითარეშებენ ჩარჩ-ვაჭრები და უფრო ხერხიანათ გააძრობენ ტყავს იმ სოფლის მეურნეებს, მიწათ-მომქმედებს და მრეწველებს, რომელთაც ექადიან სიტყვით დიდ დახმარებას.

## სხვა-და-სხვა ამბები

იენისის 18 ქართული დრამატული საზოგადოების კრება იყო და მმართველობის წევრებათ რომ ძველები გადაეხალასებიათ, სულ ახალ ახალი ფერები ამოირჩიეს.—საზოგადოთ მიღებულია, რომ ახალ არჩეულების ბიოგრაფიას წერენ ხოლმე და ჩვენც მისი მიბაძვით მოვიხსენიებთ ამ ახალ სადრამატულო წევრებს:

1) პეტრე ყიფიანი. მეღვინე პაელეს „დაევსკა“ და ნეიტრალი.

2) პავლე ყიფიანი. საზნაურო ბანკში მოსამსახურე, პეტრეს „დაევსკა“ და ნეიტრალი.

3) ვ. რცხილაძე. უცხო მოძღვარი და ნეიტრალი.

4) მ. ყურული. ყოველგვარ საზოგადოების აუცილებელი წევრი და ნეიტრალი.

5) ი. მაჭავარიანი...

6) კალაიშვილი. ნე....ი.. ტ... რა... ლი!...

ამბობენ, რომ ერთნაირი ბალახია სამყური ბალახის გვარი, ვინც ამას იშოვნის ყოველი დაკეტილი კარი გაეღებაო. ამას ძველათ ამბობდენ და ახლა კი სხვა უნდა ითქვას: „ვინც იმ ბალახს იშოვნის, ნეიტრალი გახდება.—უნდა მოგახსენოთ, სწორეთ კარგი ღირსებაა ხელოვნებაში ნეიტრალობა.

ა. გ.

* * *

კერძო სასწავლებელს ბ-ნ მჭედლიძისას ეკატერინა კონსტანტინეს ასულმა მესხისამ შეწირა ცამეტი ქართული წიგნი, რომლისთვისაც შკოლის პატრონი დიდ მადლობას უცხადებს შემომწირველს. როგორც ეტყობა, ბ-ნ მჭედლიძეს განუძრახავს შკოლასთან ქართული წიგნთსაცავის დაარსება. ეს საქმე მით უფრო სასარგებლოა, რომ ამ წიგნთ-საცავში მრავალნი მიდიან ქარხნების მუშები ახალგაზრდა ქართველები წიგნების საკითხავათ. იმედია, სხვაც ბევრი მიაწვდენს ქართულ წიგნებს ბ-ნ მჭედლიძეს, შემდეგი ადრესით: Батумъ, частное училище Б. К. Мчедлидзе.

* * *

სიღნაღში გამართულ ქართულ წარმოდგენიდან „კვალის“ რედაქციამ მიიღო 63 მანეთი კნ. ნ. ს. ანდრონიკაშვილის მიერ გამოგზავნილი იაფ-ფასიანი წიგნების გამოსაცემათ; წიგნების გამომცემი წრე დიდ მადლობას უცხადებს ამგვარი შემოწირულებისათვის.

## საყურადღებო ამბები

ვლადი კავკავის ქართული შკოლა თითქმის დედ-მამების შკოლათაც ითვლება, რადგანაც თვეში სამჯერ მაინც არის შეგროვდებიან ხოლმე და ერთმანეთს უზიარებენ თავ-თავიანთ აზრს ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო საქმის შესახებ. სამ თვეში იმაზე ჰქონდათ სჯა აქაურ ქართველობას, რომ როგორმე მოეხერხებინათ, ქართული წირვა-ლოცვა მშობლიურს ენაზე მოესმინათ. ხან უნდო-

დათ საყდრის ასაშენებლათ ფული შეეგროვებინათ და აეშენებინათ საკუთარი საყდარი, ხან უნდოდათ ერთი რომელიმე საყდარი ეთხოვნათ მთავრობისათვის. პირველს სურვილს კი ხელი ვერ მოჰკიდეს, რადგანაც კავკავში მცხოვრებნი ქართველნი მომეტებულ ნაწილათ ღარიბნი არიან და მეორე აზრი კი უნდათ განახორციელონ. აქაურ სასულიერო კონსისტორიამ შერიცხა აქაური ქართველნი ოსების საყდრის მრევლათ, სადაც რუსულათ და ოსურათ სრულდება წირვა-ლოცვა. ახლა აქაურებს უნდათ თხოვონ მთავრობას, რომ დაენიშნოს მათ ქართველი მღვდელი, რომელსაც ნება ჰქონდეს ოსების საყდარში ქართულათაც წირვისა.

იქვე სასწავლებელში აქვთ კარგი ბიბლიოთეკა, რომელსაც ამ ბოლოს დროს ბლომათ ეტანება ხალხი წიგნების წასაკითხათ. ეს იმისგან ჩანს, რომ ამ ორი წლის წინათ ჰყიდდენ წიგნებსა, მაგრამ წელიწადში ერთი თუმნის წიგნი არ იყიდებოდა: ახლა კი წიგნები ბლომათ იყიდება, რაც ძალიან შველის აქ ქართულ მწიგნობრობის გავრცელების საქმეს.

ი. რუისელი

* * *

სოფ. ბახვი. (ოზურგეთის მაზრა). აგერ სამი წელიწადი გადის, რაც ჩვენ ბახვის ორ-კლასიანი შკოლის ზედამხედველის ბ. გ. შარაშიძის მეთაურობით განვიძრახეთ ჩვენ სოფელში ბიბლიოთეკის დაარსება. აქაურმა ახალგაზდობამ ამ კეთილ საქმეს თანაგრძნობით მიეგება და იმის განხორციელებისათვის არ დაზოგა თავიანთი წვლილი. შემოწირულობა ოცთუმანზე მეტი მოგროვდა, რომელიც მიღებული აქვს ბ-ნ შარაშიძეს. მას აქეთ საქმე სისრულეში მოყვანილი არ არის. მართალია ბიბლიოთეკისათვის საჭიროა რიგიანი სახლის შეძენა და ფული კი ცოტა გვაქვს, მაგრამ დრომდის მაინც შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმითი, რაც ხელთ გვაქვს. იმედია, ბ-ნი მეთაური დააჩქარებს ამ საქმეს, როგორათაც შესაძლებელი იქნება და მით მოგვცემს საშუალებას წიგნების კითხვისას.

ახალგაზდა მკითხველი

* * *

სამტრედია. ეს ორი წელიწადია, რაც მამა ე. კ—აკმა ყურები გამოგვიჭედა და სასოება დაგვიკარგა ჩვენთვის სრულიად გაუგებარს უცხო ენაზე წირვა-ლოცვით. ხანდისხან ჰრელათ, სულ ერთიანათ ურევს რუსულ-ქართულათ, თუ ქართულ-რუსულათ წირვა-ლოცვას. ჩვენ გვეგონა, თუ ეს მთავრობის განკარგულება იყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს ასე არ გამოდგა. როგორც გავიგეთ, ეს არ ყოფილა მართებლობის განკარგულებით და არც არავის უბრძანებია მ. კ—სათვის ამ ნაირათ წირვა-ლოცვის შესრულება. ეს მარტო მისი საკუთარი მოსაზრებაა და ასრულებს თავის გამოჩენისა და უკულმართი განზრახულებისათვის. მამა კ—კის ზნეობრივი მხარის დასახასიათებლათ ესეც უნდა ითქვას, რომ ეს რამდენიმე წელიწადია, არც ერთი საქმე. არც სასულიერო და არც სახორციელო, არც სამოსწავლო და არც საპოლიციო არ დაწყებულა, რომ მამა კ—კს მონაწილეობა არ მიეღოს. წარსულს წელში მამა კან—ლაკმა კულაშში ორ-კლასიანს სასწავლებელს გადატანა მოუნდომა სად. სამტრედიის ახლოს, სადაც ციებ-ცხელების ბუდე არის· ამას მიტომ შერებოდა, რომ თვით გადასახლებას აპირებდა სამტრედიაში და ამიტომ უნდოდა შკოლაც თან წაეღო. თავის პირადის სარგებლობისათვის ამ დროებით მეცადინეობს სენაკის მაზრის გურია-სამეგრელოს ეპარხიის რამოდენიმე ნაწილი ცხენის წყლის გამოღმა შეუერთოს ქუთაისის მაზრის—იმერეთის ეპარხიას. საზოგადოება წუხს, რომ კვირაში და ხან თვეში, თითოეულ ჩვენგანს იქნება ერთხელ ეღირსოს ეკლესიაში მისვლა მაცხოვრის სიტყვის მოსასმენლათ და მაშინაც ყურებს გვიხშვენ, რომ ვერაფერი გავიგონოთ. ახლა მაინც ვინ გვატანს ძალას, გინდა თუ არა, ასე მოიქეცითო. თვითონ ჩვენვე ვახდენთ ჩვენ საქმეს..."

რა შედეგი მოყვება ხოლმე ამას, დღეს ჩვენ თვალწინ გვიძევს. ამათსავით ძლიერ მოსალოდნელია, რომ ვინმე ჩვენი ახალი ნასწავლი მამათაგანი გამოვიდეს და თქვას: ,,ჩვენს ხალხს ქართულ-რუსულათ სურს წირვა-ლოცვის მოსმენაო. მაშინ, აი, რას გვეტყვიან: თუ გნებავსთ მოისმინეთო. რატომ ამდენს ხანს არ თქვითო...

ჩ.

* * *

სად. ქუთაისი. 20 ივნისს აქაურ მომრიგებელ მოსამართლემ მიხაილოვმა გაარჩია საყურადღებო საქმე ვაგონების მაყურებელ იაშვილსა და სადგურის უფროსს ანდრჟკიკოვიჩს შორის. საქმე ასე იყო: იაშვილმა მოახსენა ანდრჟკიკოვიჩს, რომ რადგან ერთ ვაგონს გოგრები წამხდარი აქვს, უნდა მოიხსნასო. სადგურის უფროსი ანდრჟკიკოვიჩი გაფიცხდა, დაუწყო გინება იაშვილს და იქამდის მივიდა, რომ იაშვილს ჩაქუჩი გამოგლიჯა ხელიდან და თავში დარტყმა მოუნდომა. იაშვილმა ხელი შეუბრუნა. მომრიგებელმა მოსამართლემ მიხაილოვმა

ანდრჟკიკოვიჩი გაამართლა და იაშვილს ორი თვის ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

***

ს. ბრეძა. (ზემო ქართლი). წელს აქეთკენ აღტაცებული სიხარულით შეჰყურებს გლეხი თავის ნაშრომს ჭირნახულს, რადგანაც სრულებით დაიმედებულია, რომ საკმარისათ დაჯილდოებული იქნება იმისი შრომა კარგი ჭირნახულის მოსავლით. შვენიერი ყანები, სიმინდები და ქერებია აქეთკენ. „უფლის თვალი ტრიალებს შიგ“. ვენახებსაც შვენიერათ მოაქვთ და, თუ ღმერთმა ინება, და დრომდის ასეთი კარგი შეწყობილი ამინდები დაუდგა, როგორც ახლა, მაშინ ხომ საზღვარი აღარ ექნება გლეხის სიხარულს. ქერები ამ ერთ კვირაში გაიჭრებიან რა, პურიც ბევრს აღარას დააგვიანებს. ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ: აქეთკენ ჩვენმა ქალებმა დიდი გულმოდგინებით დაიწყეს ზრუნვა თავიანთ საქმისათვის და ყოველთა სასიამოვნოთ თანამგრძნობლებიც არ აკლიათ. რაც შეეფერება პატარა, საზოგადოებას, შესაფერი წვლილიც გროვდება. აქ ქ-ნ ნინა მუსხელაშვილის ასულის თაოსნობით იმართება ამ მცირე ხანში ლატარია-ალეგრი ქალების მიერ გაკეთებულ ხელსაქმეებისა, თფილისის მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოთ და, როგორც ქალები, ისე ვაჟებიც დიდი თანაგრძნობით ეხმარებიან შეძლებისადაგვარათ. იმედია, ალეგრის თამაშობის დროს საზოგადოება არ მოაკლებს თვისს მხურვალე თანაგრძნობას, რითაც წაახალისებენ შემდეგისთვისაც, როგორც ქ. მუსხელაშვილისას. ისე მის თანამშრომლებს და ამით მაინც მისცემენ საბუთებს ქალებს, რომ თვითონ მაინც მხნეთ ეცადონ თავიანთ საქმეებისთვის, რადგან მამაკაცები თითქმის უყურადღებოთ ტოვებენ მათ საქმეებს.

მეზობელი

***

**ბარის ოსები.** ბარის ოსები არამც თუ ცდილობენ რამე სიკეთის შეძენას, არამედ უფრო და უფრო ვრცელდება სხვა-და-სხვა მავნე ჩვეულობაები და ცრუ მორწმუნეობა: აი, მოვიყვან ერთს არა სასიამოვნო ამბავს: 18 წარსულ მაისს, სოფ. ოლგინწკალი (კავკავის მაზრა) ოსი იყო მინდორში სიმინდის სათოხნათ. აქ უეცრათ ცა მოიღრუბლა, შავი ღრუბელით შეიმოსა, ჭექა ქუხილი ატყდა, წვიმა დაუშვა და მეხი დაეცა ოლგინწკალელ ოსს, რომელიც მაშინვე გათავდა. მეხით მოკლულის ამხანაგებმა საჩქაროთ აცნობეს ეს ამბავი მის ოჯახს. მიცვალებულის პატრონებმა დაუყოვნებლივ აფრინეს კაცი მთაში, სოფ. დარღავში, რომელიც ერთი დღის სავალზე შორს არის ოლგინწკალზე. ერთი მათგანი ვიღაც ხატის-კაც მკითხავთან წასულა საკითხავათ. „როგორ მოვექცეთ მეხის მოკლულსო“. სანამ უკან დაბრუნდებოდა ის კაცი ხატის-კაც მკითხავიდან, ორი დღის განმავლობაში მეხით მოკლული იმავე ალაგას იდვა ხელუხლებლათ. გაგზავნილი კაცი ორი დღის განმავლობაში დაბრუნდა და მოიტანა ნებართვა და ხატის კაც-მკითხავის რჩევით წაიღეს მეხით მოკლული ოლგინწკელებმა, ოლგინწკის ბოლოში ჩრდილოეთის მხარეს განსალკევებით (არამც და არამც არ დამარხოთო - ეთქვა ხატისკაც მკითხავს). აქ დასვეს სავარძელში მიცვალებული, დაუდვეს წინ ხის რგვალი სუფრა. სუფრაზე სამი ხაჭაპური დევს, და ერთი ჩალის ჯამი სავსე კაპარი (ქუმელა *). გარშემო ამოუშენეს აგურით და კირით წოწლოტინათ და შეუკრეს თავი ისე, რომ თითო ბეწო სანათურებ-ლა დაატანეს (მიცვალებული შიგ მოაყოლეს) და ამნაირათ მთელი ერთი კვირის განმავლობაში, სოფ. ოლგინწკელები დიდ-პატარაიანათ იკრიბებოდენ, ამ ალაგას, ხოცავდენ საკლავებს და როცა კარგათ შექეიფიანდებოდენ, ხელი-ხელ გადახვეულნი, ქვითკირით ამოშენებულ მჯდომარე მეხით მოკლულს საზარელი ზრიალით ყვირილით გარშემო უვლიდენ ფერხულს და ყვიროდენ ასე: „ელდარი ცოპაი და ხორძახნოდ“.**) მე როცა გამოვიკითხე ეს არა სასიამოვნო ამბავი, ასე მითხრეს: ბარის ოსების აზრით მეხით მოკლულის დამარხვა, ყოვლად შეუძლებელია. ეს ამბავი ისევ მამა პაპიდანვე დარჩენილა ოსებში; უსათუოთ მკითხავის რჩევით უნდა მოიქცენ და მათი ფიქრით ე. ი. ხატის კაც მკითხავის რჩევით, მეხით მოკლული რომ დაიმარხოს და მიწა დაეყაროს, იმ წელიწადს წვიმა გაანადგურებს მათ მხარეს მოსავალს და აღარა მოვა. ამასთანავე ყოველ წელიწადს ამ ალაგას, ე. ი. სადაც მეხით მოკლული არის ქვითკირით ამოშენებულში, ყოველ წლის თავზე უნდა შეიკრიბონ მთელი სოფელი და გადიხადონ დიდი ნადიმი იმავე აზრით, როგორც პირველ შემთხვევაში. თუ ასე არ მოიქცენ,

*) კუმელა სასმელია, ფეტვის, სიმინდის ანუ ქერის ფქვილით მოდუღებული—მოხარშული და ალაოთი მომზადებული.

**) „ელდარი ცოპაი და ხორძახნოდ“ ითარგმნება ასე: „ელოდარ“ ბატონი. „ცოპაი“ ტოკვა, წრიალი, „დახორძახნოდ“ მენი წყალობა გვქონდესო

მათი ფიქრით იმ წელს ილია (ვასილა) მოსავალს სულ გაუნადგურებთ.

ქართველ ოსეთში

* * *

ქსნის ხეობა. აგერ სამი წელიწადია, რაც ჩვენ ხეობას ეწვია ორი დაუპატიჟებელი სტუმარი: ერთი მათგანი უთხოვნელათ გამობძანებული მიწის მზომელია და მეორე — „გუბერნსკი პრავლენიაში" ნამყოფი მწერალია, რომელიც აწ — გლეხობაში „გუბერნსკი პრისუტსტვიის ჩლენობას" ჩემობს: ეს ვაჟბატონები დახელოვნებული არიან ხალხის ცარცვა-გლეჯაში. რომ პირველი მათგანი ადგენს კერძო პლანებს გლეხთა ნადელებისას და მეორე — „დოგავორებს" წერს ნადელის გაყიდვისას მებატონეთაგან. ერთი მეორისათვის აუცილებელი საჭიროა. ორივენი ერთათ გარიგებულები არიან მამულის მებატონეებთან, რომელთანაც იღებენ შრომის ფასს, თუმცა, როგორც შევიტყე, კომლზე სამ-სამი მანეთი გლეხებისაგანაც აუკრეფიათ მოტყუებით: "მარკების ფასს გლეხები იხდიანო". (?!) სრული სამი წელიწადია დაწანწალობენ სოფელ-სოფელ კომლდა-კომლ და, ნეტაი, იმ გლეხის ოჯახს, ვისაც ესენი ეწვევიან: საცა ღვინოა, გაუწყვეტენ ღვინის სახელს და სადაც არაყი, ულვინოთ არ ჯერდებიან. „ქამურის მთის მწვერვალზე რომ მოექცენ ეს ორნი ტოლნი", იქაც კი ღვინოს მოატანინებენ უბედურ გლეხს! გარდა ამისა ქრთამით იკლებენ სოფლებს: ერთმა გლეხ-კაცმა გვარათ გ. წითურიძემ შემომჩივლა: ,,შარშან ნადელების ზომის დროს ,,ზემლემერმა" და ,,ჩლენმა" ხუთი თუმანი ქრთამი გამომართვეს—მეზობლის ნადელს შენზე დავწერთო და შენ დაგრჩებაო. ახლა ის კაცი იმ მამულს არ მაძლევს —ეუჩივლე ,,პოსლენიკთან" და კინაღამ ციხეში გამგზავნა მე; და ჩემი შვილი კი ერთი კვირა იჯდა. —როგორ ბედავ, სხვას ნადელს ართმევო, მიბრძანა. რაზე აიღეს ჩემი ცოდვა იმ დალოცვილებმა. აბა, ნაჭწაელი სულ ეგრე მაცდურია, აი!"

ყველა ხსენებულს კიდევ ავიტანდით, რომ სხვა-და-სხვა ღვარძლს არა თესავდენ მებატონესა და გლეხს შორის. ამას წინეთ, ეს მიწის სატკეპნელათ შექმნილი ტყუპნი დასრიალებდენ სასოფლო კანცელარიის გვერდით, სადაც შუამავალ მომრიგებელს შეეყარა ხალხი და ნადელების შესყიდვას ურჩევდა გლეხებს.

გრიგოლი და მიხეილი ცალ-ცალკე ჩაჩიჩინებდენ გლეხებს: —თეთიკო, აი, თეთიკო —ეუბნებოდა გრიგოლ ლოთი *), თქვენი პურ-ღვინო კარკიანს დაკიდე ნადელი... ნუ!.. არა, არა... მეთია.

სამაგიეროთ, მეორე ფხიზლათ იყო და მედიდურათ უმზერდა არე-მარეს, რომელიც აჩვენებდა ხალხს, რომ ჩემზე ჭკვიანი და ნასწავლი დედა-მიწაზე მეორე არავინ დაიარებაო —სერთუკის ჯიბიდან ამოაპროწიალა ცხვირსახოცი, გადისვა ქენქიან შუბლზე და მკაფიოთ ჩასძახა ყრილობას:

,,გლეხნო, თქვენთვის ღმერთს ჭკუა არ მოუცია, თორემ თავად აზნაურობაზე მაღლა იდგომებოდით. რა ხელს გაძლევთ მებატონეებთან ძმობა—მეგობრობა?! თქვენ თქვენი საზოგადოება გაქვთ — თქვენი წრე. ნადელს ყიდულობთ, რაც გიწერიათ ღრამატაში? ვაი, სისულელე!.. დააჭირეთ ფეხი. ბრძანებაა მთავრობისა ოც-ოცი დღიური უნდა მოგეცეთ აუცილებლათ —ძალ-დატანებით. თუ მებატონეები უარს გეუბნებიან —ძალა გაქვთ — სულ მტვერი აადინეთ".

ამ ვაჟბატონებს იმის ჭვალი ადგათ, რომ ახალი საქმე სადმე იშოვონ და მშიერები არ დაიხოცენ და როგორ? ხალხის უარყოფით მოიშლება ძველი ნაამგარი და, მებატონეებს რა ძალა აქვთ ახალი ,,პლანები და დოგოვორები უნდა შეადგინონ, მხოლოთ ვინ შეადგენს? — მიხეილ და გრიგოლი!...

არ იქნება ურიგო ადგილობრივმა პოლიციამ და თვით მომრიგებელმა შუამავალმაც სრულიად განაძევონ ეს ვაჟბატონები.

* * *

მთვარის გამოახლების გამო სულ წვიმებია. ხეობის გარშემო მთები დათოვილია, რომელიც, როგორც ამბობენ ცუდათ იმოქმედებს ვენახებზედაო, ბალახი უხვათ მოდის—ხეხილი ზოგან-ზოგან გაფუჭებულია. ჯერ თითქმის ისევ ზამთრის სუნი ტრიალებს. დილ-დილით რთვილს აგდებს ისე ცივა.

ა. ქსნელი

* * *

ასკანა. (ოზურგეთის მაზრა). ჩვენს სოფელს წლევანდლამდის არ ღირსებია ასეთი ზნეობრივი და გონებრივი ავლა-დიდებით შემოსილი მასწავლებელი და ყველანი, ვინც კი ყოფილან ჩვენს სოფელში მასწავლებლათ, ყოფილან ფორმალური აღმასრულებელი თავისი მოვალეობისა, როგორც მასწავლებლის, გარდა სოფლის ცხოვრების

*) ასე უძახდენ მიწის მზომელს.

წალმა თუ უკულმა ტრიალზე დიდი გაელენ, აქეთ სოფლის მამასახლისს; მაგრამ ეს უკანასკნელნიც უმეტეს ნაწილათ კუჭის მრწამსის მიმდევარნი უფრო ყოფილან, ვიდრე სოფლის კეთილდღეობის და წარმატებისა. აიეთ მეთაურობის წყალობით, რასაკვირველია სასწავლებლის დაკეტვა უფრო მოსალოდნელი იყო, ვინემ გახსნა. მაგრამ გამოიცვალა დრო. დაჰბერა სხვა ქარმა; სოფელმაც იცნო თავის ცხოვრების სათავეში მდგომთ უვარგისობა, მავნებლობა და მათ საუკუნოთ თავი დაუკრა, მხოლოთ მის მაგიერათ აირჩია ახალის მიმართულების, ცხოვრების ახალს ნიადაგზე აღმოცენებულნი და სოფლის გულშემატკივრობით გამსჭვალულნი პირნი. მე მოგახსენებთ ჩვენი სოფლის მამასახლისზე და მასწავლებელზე, რომელთაც ამ ერთ წელში თვალსაჩინო კვალი დაჰინეს სოფლის წინ მსვლელობას და წარმატებას. თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგ გზებს ცხოვრების ეკონომიურ გაუმჯობესობაში, ეს ყველას კარგათ ესმის, მაგრამ ჩვენი სოფელი ამ მხრით უნუგეშო მდგომარეობაში იყო წლევანდლამდის. ამ თვალსაჩინო ნაკლულევანებას უპირველესი ყურადღება მიაქცია მამასახლისმა ბ-ნმა მჭეიშვილმა და თავგამოდებული შრომით შვენიერი გზები გაიყვანა. წიგნთსაცავი მისი მეცადინეობით მკვიდრ ნიადაგზე დადგა და ნამდვილ თავისი დანიშნულების გზას დაადგა. ამავე წელს დაარსდა ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი. ამავე გარდა ბ-ნ მჭეიშვილს, როგორც გავიგეთ განზრახვა აქვს დაარსოს სასოფლო ბანკი, და მით იხსნას საწყალი სოფლელები ულმობელი და შეუბრალებელ მევახშეებისაგან, რომელთა ალაგმვა კანონმაც კი ვერ შეძლო. ეს ფაქტები ჩვენ დღესავით ნათლათ გვეუბნება, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს სოფელს გონება-განვითარებულმა მამასახლისმა, თუ იგი არის სოფლის სიყვარულით გამსჭვალული. ვისურვებ სხვა მამასახლისებსაც მიებაძოსთ ბ-ნ მჭეიშვილისთვის.

---

## გოგო, რა გოგო?

გოგო, რა გოგო?— ფუნთრუშა,
ყელ-მოღერილი, ცქრიალა,
რომლის დანახვამ მე მკისვე
ეს გული ამიჩქრიალა.

—

გოგო, რა გოგო?—შავთვალა,
შავ-წარბა, ხალებიანი,
რომლის უმისოთ არ მინდა
არც ღამე, არც დღე მზიანი.

—

გოგო, რა გოგო?—სქელ...
ძუძუ-მკერდ აფუებული,
ლოყა წითელი, პირ-რგვალი,
ვით თონე გახურებული.

—

გოგო, რა გოგო?—ქუქუნა,
თეთრ-ყირმიზ ბაგე-კოკობი,
ქურდულათ განზე მცქერალი
და მკრთალი, ვითა ხოხობი.

—

გოგო, რა გოგო?—ეშხ-მფენი,
ჭკუა-გონების წარმტაცი,
რომლისთვის გრძნობა მეფეა,
და საიდუმლო ვაჟკაცი.

კორტოხა

---

## ზეპირ-სიტყაობა

ქართული ხალხური სიმღერა

(ჩაწერილი თავისუფალ სვანეთში)

გავხედელი (გაეიხედე?) ყად მეგონა, ვოჲ,
მეგონა, ვოჲ მეგონა [1])
იდგა ლაშგარი მჯარათა, ვოჲ ჯარათა, ვოჲ
ჯარათა!
შავ ქალას თურქი-თათარი ვოჲ ...
ურჯულო ქალის ჯარია....
გეიხედე (გავიხედე?) გამომდევი (გამომედევა?)
მუხვასა ზურგი მივართვი
შტო მოვიხმარე საფრათა
ჯვარსა (ჯორსა?)ავკიდე ცოლათა
დეიჩოქე [2]) (დავიჩოქე?) დეისროლ (დევისროლე)

---

[1]) თითოეული მწკრის გათავებისას ორ-ორჯერ იმეორება უკანასკნელი სიტყვა და მის წინ „ვოჲ, ვოჲ!“

[2]) ქართულის ენის ნაკლებათ მცოდნე სვანი ზმნას პირველი პირის მაგიერ ხმარობს მესამე პირზე და ამიტომ არის აქაც ნახმარი: გეიხედე, დეიჩოქე, მოჭკალი ნაცვლათ დავიჩოქე, გავიხედე, მოვკალი და სხ.

ერთი გავტენე ქარქაში *)
ასი მოჰკალი (მოვკალი) თათარი,
ერთი მეცა მკრა ისარი
წინა-მ წითელი ბოზალი
გულსა ჩამესვა მწარათა,
სისხლი ქვე ჩადგა ღვარათა,

*) ისრების ჩასაწყობი.

შენიშვნა. სვანური სახალხო სიმღერების შეკრების დროს ხუთი ქართული სიმღერა შემხვდა, რომელნიც ჩამიწერია ჩემ ხელნაწერ კრებულში 1883 წელს. ხუთივე ეს სიმღერა ერთმა ღრმათ მოხუცებულმა (ახლა მკვდარია) გუა ჩარქსელიანმა მითხრა, რომელმაც ქართული არ იცოდა. ტექსტს იმავე გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებით გიგზავნი, როგორც მთქმელისაგან გავიგონე. ესევე ნაკლულევანება აქვთ დანარჩენ ოთხ სიმღერასაც. თუ ეს დაიბეჭდა და რომელიმე მხრით საინტერესოა, მაშინ დანარჩენებსაც მოგაწვდენ რედაქციას. ჩარქსელიანის სიტყვით ამ სიმღერაში აწერილია ოსების თავს დასხმა რაჭველებზე. შეიძლება ეგევე სიმღერა უფრო სრულად შენახული იყოს ზემო რაჭაში. როგორც ამ სიმღერას, ისე დანარჩენ ოთხსაც მარტო ფერხულის დროს მღერის ხალხი.

დავჯედი წიგნი დავწერე
ტრედსა შევებდი (შევაბი) მხარათა (მხრებზე?)
ეს დედაჩემს მიუტანე,
ნარჩევი შენი შვილია
არ მოგივიდა კარსაო,
მანდილა, თეთრი ჩიქილა
ქვე შეიღებე შავათა.
ციხე-ა ჩემი ქალაქი
ქვე შეიღუბე (შეღებე?) წითლათა
ჩემი ცოლ ქმარი იშოვნის
მე მჯობვეს მკლავი ძალათა;
მეჯინიბეს დაუძახე,
ჯორი მომგვარე ჩქარათა
გზა წვრილი ჩქარა ვიარე,
მინდორი უფრო ჩქარათა
ლომინმა [3]) უთხხრა ცხენაო (ჯორსა?)
თუ მ-წესიდგან [4]) მოვიყვანე (მომიყვანე?)
კოდით [5]) ჩაგიდგამ ქერსაო?

[3]) ლომინი კაცის სახელია, სვანეთში ლომი არის სახელი. ვგონებ, ამ სიმღერის გმირი ეს ლომინია.
[4]) მ-წესის მაგიერ უნდა იყოს წესმა. წესი სოფ. რაჭაშია.
[5]) კოდი პურის საწყაოა რაჭაში.

# ღვიმის ტაძარი და მისი კარები

(ყვირილის ხეობაში)

გ. წ. არხეოლოგიურ ექსკურსიიდან

ღვიმის ტაძარი ხრულიად მთლათ შენახულა და უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ძეგლათ მეცამეტე საუკუნის ხუროთ-მოძღვრებისა. ტაძარი წარმოადგენს ბაზილიკის სახეს, რომლის შეკრული თალი ბუნებითი კლდეა. ამ კლდის წყალობით ეკლესია ისე შენახულა, თითქოს გუშინ აეგოთ.

ყველაზე შესანიშნავია ღვიმის ტაძრის საფუძველი, რომელზედაც აგებულია მთელი ეკლესია. ეს საფუძველი წარმოადგენს ორ ელლიპტურ (კვერცხნაირ) სიმრგვლეს ერთმანეთზე დაგებულს, წითელ ნარიჯი გაშალაშინებული გრანიტის ქვისა. ის კვეხატავს გრეხილ-შემოვლებულს ხომალდის ზანს. ამ ხომალდის ზანზე ეკლესია, თითქოს კაიუტის (каюта корабля) სახით არის აგებული, შუაგულ ერთ-ოთხკუთხი სვეტი აქვს ხის ტანის მსგავსათ შეყენებული, რომელზედაც არის დაყრდნობილი მთელი თალი ეკლესიისა. ამ სვეტს საფეხური (база) ჩინებული ქვის ბალიშებისა აქვს და გრეხილით შემკული.

სათავეს (капитель) მაგიერათ ეს სვეტი, თითქოს, ხის ტოტებათ გაიშლება და შეერთვის ეკლესიის თალს. ეს ტაძარი სამხრეთ-დასავლეთის კერძოს შვენიერი ჩუქურთმით არის შემკული. ეს ჩუქურთმის ხელობა წარმოადგენს დაგრეხილ გძელ ტარზე აგებულს ჯვარს. ჯვარის ტარზე ჩამოკიდებულია საეპისკოპოსო ოთხ-კუთხი ენქერები (палицы). ასეთსავე დაგრეხილ ტარებზე არის დაბჯენილი სანათურების (სარკმლების) ჩარჩოები და შორიდან რომ შეხედოთ, ისინი წარმოუდგებიან კაცს გძელ ტარებზე დადგმულ წმინდა ანთებულ ლამპრებათ. აი, ორგინალური, თავისებური ხასიათი მეცამეტე საუკუნის ჩუქურთმისა. ჩვენ დაწვრილებით აღწერა გ. წერეთლის მიერ ამ შესანიშნავი ხუროთ მოძღვრებისა შორს წაგვიყვანდა აპისათვის ვანებებ თავს აღწერის განგრძობას და მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ღვიმის შესანიშნავს ჩუქურთმით შემკულს ძველს კარებს, რომელნიც, როგორც ბროსსე ამტკიცებს, ვითომ ვაზის ხისაგან იყონ შეკრულნი.

გ. წერეთელს დაკვირვებით გაუსინჯავს ეს კა-

რები და ამტკიცებს, ვითომ მხოლოთ ამ კარების ფიცრებს, ჩარჩოებში ჩასმულს, ეს ძელქვის [illegible] ხისა ჩარჩოები იყოს ვაზის ხისა. ხოლო რაიცა შეეხება უნდა იყოსო. შესანიშნავია ეს კარები ზეწარწერით,



ღვიმის ტაძარი (ყვირილის ხეობაში)

რომელიც ბროსსეს გადმოუღია, მაგრამ ძრიელ შემოკლებით და არა მართლიად.

ეს ზეწარწერა წაუკითხავს ხელმეორეთ საესებით გ. წერეთელს; ჩვენ აქ მოგვყავს მისი რედაქციით წაკითხული:

„ქ: ჩიჟაევს ძესა კახაბერსა გაუმარჯოს ღმერთმა: ამინ: ამინ: ამინ: სალირს ციმაკურიძესა შეუნდოს ღმერთმა: გოგისას ძესა და მისა მეუღლესა



ღვიმის ტაძრის კარები.

მარიამს შეუნდოს ღმერთმა: წიგნასძესა გიორგის შეუნდოს ღმერთმა:

ქ: ამა კარისა შემბმელსა იელუსალიმის თემით მოსულსა აბესალომს ლომინას ძესა და მისა მეუღლესა თამარს შეუნდოს ღმერთმან: ამინ: ამინ:

ქ: ამისა მოსაქმესა ლაშხიშვილს გიორგის შეუნდოს ღმერთმა: ამინ: ძესა მისა ვახტანგს: შეუნდოს ღმერთმა: მირდანასა შეუნდოს ღმერთმა. ამინ: ლეთოსიასა და დემეტრესა შეუნდვენ ღმერთმან: ამინ: გაფრინდაშვილსა ამსაჯასა შეუნდოს ღმერთმა: ამინ: კოზლაშვილს იოანეს შეუნდოს ღმერთმან. ამინ: გვიან მოეიდა:“

ფრიად შესანიშნავია ქართული ენის გრამატიკოსთა შესასწავებლათ ამ ზეწარწერაში ერთი გარემოება, რომ ალაგ ხმარებულია „ღმერთმა“ და ალაგ „ღმერთმან“. ამას გარდა მიცემითს ბრუნვაში მის არაოდეს არ ხმარობს მეორე „ს“, როგორც ჩვეული ამ დროის ქართველ მეტაფიზიკებს.

დასავლეთის შესავალ კარების წინ ორი სასაფლაოს ქვა ძევს. ერთზე გ. წერეთელს აღმოუკითხავს შემდეგი:

„ქ. ჩვენ ყოვლისა იეერიის ბატონმან (შესანი-

შნავია ისტორიკოსებისთვის, ესეც, რომ ამ ზეწარწერაში „იეერია“ იმერეთის მაგიერათ არის ხსენებული), ტომობით დავითიანმან: მპყრობელმან წმინდისა ამისა მონასტრისამან: ბატონიშვილმან გიორგიმ: ვიგულსმოდგინეთ: ჟამთა ვითარებისაგან მონასტერი ესე საერისკაცოთ გამხდარიყო: ხოლო ჩვენ ავაშენეთ და შევამკეთ მამულითა და შიგ წყობილებითა დასაფლელელად ჩვენდა და თანახორც ჩვენთა დადიანის ასულის მზეხათუნის ვყავით და ყოველთა მკითხველთა და აღმომკითხველთა შენდობას ვთხოვეთ: ქრისტეს აქეთ ჩ. ღ. ო. Ϛ. (1778 წ.)“

მეორე საფლავის ქვაზე ზე-წარწერა წაბღალულია, მაგრამ გ. წერეთელს აღმოუკითხავს მაინც სიტყვები:

მზეხათუნი და წელი სიკვდილისა მისისა ჩ. ყ. ჟ. (1890 წ.). ზეწარწერაში მოხსენებული გიორგი უნდა იყოს ძმა ალექსანდრე V და ბიძა სოლომონ პირველისა დიდისა. ის ახალციხის ფაშის და დადიანის ოტიას დახმარებით ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე 1741 წელს, მაგრამ მოკლე ხნით. იგი იყო მამა დავით მეფისა, რომელიც აღუჩნდა სოლომონ მეორეს მეტოქეთ იმერეთის ტახტზე და გადაიცვალა ახალციხეს.

მზეხათუნი, მეუღლე გიორგის მეშვიდისა იმერეთისა იყო ასული გიორგი ლიპარტიან ჩიქოვანისა, გვარის უფროსისა ახლანდელის მინგრელსკებისა.

## მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული.

შემდეგი *)

ეს ამბავი რომ მოხდა, მეფე შეტრიალდა სახლში და გარეთ აღარ გამობრძანებულა. იახლია შიგ სარდალი წერეთელი და მეფე რომ შეწუხებული ნახა თვალცრემლიანი, გაკვირვებულმა მოახსენა: თუ მაგრე სანანებლათ დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ის ცოდვისშვილებიო. მეფემ წყენით ბრძანა: მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე. კიდეც ეგ არის მეფეო—კადრებს სარდალი. განა არ მოგეხსენებათ, რა კაცია როსტომ ერისთავი, ეგ გულს ვერაოდეს ვერ გაიწმენდდა და თუ ოდესმე შეიძლებდა, იმას რაც დღე დღეს დაადგა, ჩვენვე დაგვაყენებდა. კი მაგრამ შვილები? —კითხავს მეფე. შვილები უარესიც იქნებოდენ. ეკალზე ვარდი ვის უნახავს? მაგის ნაშიერი არ უნდა დარჩეს. ფიცი რომ არ დაგედვათ, უმჯობესი იყო ყველასთვის თავი დაგვეყრევინებია. ამ შვიდ შვილს გარდა კიდევ ყავს სხვა შვილებიც საშუალო ცოლის ხელში და ნულარც იმათ დავტოვებთ თვალდაუთხრელათ. დრო არის გავგზავნოთ ჯარი რაჭას, ავიკლოთ მაგის სახლკარობა და დავანახოთ ქვეყანას, თუ რა დღე მოელის თქვენს მტერს და ორგულსო. მეფე დიდხანს ყოყმობდა, მაგრამ წერეთელი აღარ მოეშვა და მოახსენა: მაგისი ცოდვა ჩემ კისერზე იყოსო. მაშინ უბრძანა მეფემ: მიჩუქებია შენთვის, როგორც გინდოდეს, ისე მოეპყარიო. თვითონ ხანდაუყოვნებლათ შებრძანდა ცხენზე და იმ დღესვე გაეშურა ქუთაისისაკენ. დარჩა იქ პაპუნა წერეთელი მისიანებით და გაიმართა ლხინი. იმღერიან, ივსებენ ღვინით ყანწებს, მიდიან და ულოცავენ სარდალს: ღმერთმა ყოველთვის ასე გაგამარჯვებიოს ქვეყნის ორგულზე და თქვენ მტერზეო. პაპუნა ამბობს: ახლა დამიფარცხოს ჩემი ხვადაბუნებიო. სადილს ვახშამიც მოაბეს დიდი განცხრომით. ერისთავები კი ხელშეკრულები ეყარენ გარეთ ეზოში. ეს დრო დეკემბრის თვის მეორე დღე იყო. დაღამების დროს დაიწყო თოვაქარიშხალი, მაგრამ ვინ გაბედავდა, რომ დასჯილებისთვის შემწეობა აღმოეჩინა. როსტომ ერისთავს ერთი ძაღლი ყავდა, რომელიც მოართვა ალი ენგიჩარმა. ის ძაღლი, როგორც სიდიდით, ისე გონიერებითაც შესანიშნავი იყო. არასოდეს არ შორდებოდა პატრონს და ახლაც ფეხთით მიუწვა შუაღამე გადასული იყო, წერეთელი ისევ სუფრაზე იჯდა. მხიარულების გამო ღვინო მოკიდებოდა. ძაღლის ყმუილი რომ შემოესმა, იკითხა: ეს რა ამბავიაო? მერიქიფემ მოახსენა, ერისთავების მოტირალი გახლავსო ბძანა და მაშინვე მოაკვლევინა ის გულშემატკივარი ძაღლიც მეორე დილით პაპუნა ადრე გამოვიდა გარეთ, გადახედა და დაინახა, რომ ერისთავები ეზოშივე ეყარენ თოვლში, მაგრამ ნაბდები კი ჰქონდათ გადაფარებული და რომ დაინახა იკითხა, ეს ვის უქნიაო, მოახსენეს ქაიხოსრო აგიაშვილმა ნამალავათო. ერთმა ჯარის კაცთაგანმა სიცილით მოახსენა წერეთელს: წუხელის კარგი მხეცები

*) იხ. „კვალი“ № 27

ვინადირეთ და მოსამკვლელოც ერგებათ: კიკნაძეს, ორჯონიკიძეს, დევდარიანს და ცოტა გურგენიძესაცაო. როსტომმა მოკრა ყური მათ ლაპარაკს და თქვა: „ცუდრუკობდენ ჩემზედა ყოველნი მტერნი ჩემნი და იტყოდენ ჩემთვის ბოროტსო“. მერე მიუბრუნდა შვილებს: შვილებო, ღვთის განგებას ვერავინ აცდება. ყოველივე ღირსეულათ მოგვევგო, ნუ ვიტყვით ძვირსა და საყვედურსო. ავიტანოთ ეს სასჯელი ისე როგორც ეკადრებოდეს ჩვენს ოჯახს. ჭეშმარიტათო, მიუგეს შვილებმა. ჩვენი სულმოკლეობით ნუ გავახარებთ მტრებსო, მართლაც ვერც ერთისაგან ვერ გაიგონებდით ვერც კვნესას და ვერც საყვედურს ვისმეზე. ეს დიდი კაცები, ბრწყინვალე ტანისამოსებით და სხვა-და-სხვა ძვირფას ფარჩებით შემკულნი ეყარენ თოვლში და მაინც მედიდურობა ეტყობოდათ. ხმას არ იღებდენ; მხოლოთ მოხუცი როსტომ კი აიტანა სინანულმა და მისი ბოხი ხმით წამოიძახა: დიდებულო რუსთველო ლხინში ძლიერი ჭირშიაც მანუგეშებელი ხარ. ტყუილათ არ გითქვამს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;;
მისგან გასწორდეს ყოველნი, სუსტი და ძალ-გულოვანი
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთად მოყმე და მსცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მაგრამ, ვაი, რომ სახელოვანათ ველარ ვკვდებით—დაამატა ამოსკვნით. არა, ბატონო, დიახაც სახელოვანათ ვკვდებით—გააწყვეტია მეთოდემ. დიდებულმა მეფემ, რომელმაც სტამბოლი შეაძრწუნა, პირდაპირობა რომ ველარ გაგვიბედა, ღალატით დაგვიმორჩილაო. სირცხვილი მისი და არა ჩვენი. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე სულ ერთი კანონი ბრუნავს: „იყვენ და აღარ არიან, ვართ და აღარ ვიქნებით. იქნებიან და აღარ იქნებიან“. ამით დაასრულეს საუბარი და გაჩუმდენ. როსტომმა პირჯვარი გამოისახა და დაფიქრდა. წარმოუდგა მას მის ბარაკონში დილაობით სხვა-და-სხვა ფრინველების ხორცზე ბრძოლა და მისი ირმების ბღავილი, როდესაც ჩვეულებისამებრ მარილს ითხოვდენ. გაიხსენა თავისი შეძკობილი ცხვრები და გულში სევდამ გაუალა. მოაგონდა ნებიერს რომ დაკლავდენ ხოლმე ყოველ დილობით, გაატყავებდენ და მიუშვებდენ ზედ სხვა-და-სხვა მეძორიე ფრინველებს, მიცვინდებოდენ ზედ ქორები, მიმინოები, შევარდენები, სონღულოები, ორბები, სვავები, ყვავები, კაჭკაჭები და სხვანი. ჰქონდათ შფოთი ერთმანეთთან, მეტადრე თოვლის დროს. მაგრამ ბოლოს, როდესაც გამოიყვანდენ არწივებს, მაჩხუბარი ფრინველები შიშით მიიფანტ-მოიფანტებოდენ. აი, რა ყოფილა ჩვენი ცხოვრება და აქამდის არ ვიცოდი. ყველგან შფოთი და ძალმომრეობაა. ყოველი კაცი ცრუ არ-და ცდება, მხოლოთ შენ ხარ უტყუარი და შეუცდომელი მაღალო ღმერთო. ცანი და ქვეყანანი წახდენ, მხოლოთ სიტყვანი შენი არა. სად მე და სად მეფე სოლომონ? მიეცით კეისრისა კეისარსაო. რატომ არ ვჯერდებოდი ჩემს ყოფა-ქონებასო. სად არიან ახლა ჩემი ბარაკინის სასახლე, ამბრალაური ხიდის კარის კოშკები, სევას სასახლე, ონში ციხე-სასახლე და ქალაქი. სხვა სიმდიდრესთან ოთხმოც მეწველ შინაურ ირმებს რომ ველარ ვნახავ, ესენი ამიერიდან ყველა სიზმარივით გაქრებიან. ვინღა გამაგონებს ჩვეულებრივ ლხინს და შეწყობილ ძლის პირებს. გაიტაცა ისევ სოფლიურმა ძრახვამ, გაიღვიძა ისევ მის გულში ძველებურმა მედიდურობამ, მით უფრო რომ იქვე იმდროს მისმა შვილმა გიორგიმ სული დალია და წარმოთქვა შეჩვენება: ჰი, ყოვლად ძლიერო მაღალო ღმერთო, სადაცა დაიქცა სისხლი თვალთა ჩემთა და ძეთა ჩემთა, აღმოფხვარი, ქვეყანა იგი და მიეც ნიავ-ქარსა გასაფანტველათ ჰაერთა შინა. ჰი, ყოვლის შემძლებელო, გარს შეს მოუწერელო უფლებითა ღმერთო, მოკითხე სისხლი ჩემი და შვილთა ჩემთა მეფე სოლომონს, კათალიკოსს იოსებს და არჩილ ბატონიშვილს. მიაგე სამაგიერო შურისმაძიებელთა ჩემთა პაპუნა წერეთელს, პაატა აბაშიძეს, ზურაბ მიქელაძეს, ბერ წულუკიძეს, ბერ ლორთქიფანიძეს, ოტია ჩხეიძეს, თამაზა მესხს, მამუკა მდივანს, თანდარუხ იოსელიანს, ქაიხოსრო და პაპუნა აბულაძეებს. შეაჩვენე და აღმოფხვარ მათი სახლ-კარი და გასწყვიტე სახსენებელი მათი უკუნისამდე. წერეთელმა გაიგონა ეს წყევა და შეუტია: აღარ იშლი? გინდა დასძინო უსჯულოება უსჯულოებასაზედაო? შენს სახლში საღვთო-წერილი იბეჭდება და როგორ არ წაიკითხე, თუ რას სწერს ყოვლის შემძლებელი: „დაემორჩილენით უფალთა თქვენთაო“. შენზეა ნათქვამი: „ხნარცვი თხარა და აღმოკვეთა და შთავარდა მთხრებლსა მას შინაო“, წერეთელო, მართალს ამბობ, მაგრამ, არ მეგონა, თუ საღვთო-წერილი იცოდი და ნურც იმას დაივიწყებ, რომ, „ნურცა უფალნი განირისხებენ მონათა თვისთაო“. ნუ გიხარია, შენც ეს დღე მოგელის წერეთელო, მეფეს ფრთებს აკვეც, გინდა დიდებულები ჩამოაშორო და შენთვის კი ყოველივე მოაგვარო. შეგშურდა ჩემი ციხე-ქალაქები და მონასტრები? ახლა კი იშოვი. მაგრამ ნუ დაივიწყებ. რა გზითაც მიგილიეს იმ გზითვე გაგეძევის. ახლა კი ძლევა-მოსილო, როგორც დამორჩილებულს ერთი თხოვნა ამისრულე. შემავედრე მეფეს, რომ ასე ნუ გვტანჯავს და თავები დაგვაყრევინოსო. წერეთელმა აღუთქვა, მაგრამ წავიდა მხოლოთ, მიტომ რომ რაჭაში ჯარი გაეგზავნა და ერისთავის ოჯახობა აეკლო.

(შემდეგი იქნება)

## „მოამბე“-„ივერია“ და ეპიგონობა

### III

1893 წ. განსვენებულმა ეგ. ნინოშვილმა „კვალში“ ორი პუბლიცისტური წერილი დასტამბა, რითაც ჩვენ დიდი ხნით მიძინებულ „ივერიას“ ძილი დაუფრთხო და ზეზე წამოაგდო. ასეთი თავხედობა, რასაკვირველია, დარბაისელმა გაზეთმა არ აპატია პატარა მწერალს და სამაგიეროდ მიუზღო: ეს პალლგაზდათა „ხტუნაობა, კუნტრუში და ლიკლიკობაა“ მეტი არაფერიო (№ 29). 1894 წ. გადაიცვალა იგივე ნინოშვილი და მის დასაფლავების მეორე დღეს „კვალმა“ გამოაცხადა: ჩვენში თურმე ახალი დასი შემდგარა, რომლის მეთაური ნინოშვილი ყოფილაო. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ამბავი ეჭაშნიკა იმავე „ივერიას“ და ყვირილი მორთო: რის დასი, რა დასი, ჩვენ ვართ და ჩვენო. 1895 წ. მოხდა სასწაულება, გადაბრუნდა ქვეყანა. იგივე „ივერია“ თავის ძველი ბუდიდან გადმომხტარა და საყოველთაო განსაცვიფრებლათ ახალი დასის ძუაგულში დასკუპებულა. საუბედუროთ ნახტომი შემლია და კუდი ისევ ძველ ბუდეში დარჩენია. ამნაირათ ასეთ ჩახლართულ მდგომარეობაში ჩავარდნილა. რა ქნას, საით წავიდეს?.. წინ? მაშინ ხომ სრულათ შეუერთდა მის მიერ ათვალწუნებულ დასს, ეს კი ასე საძნელოა „ივერიული“ თავმოყვარეობისათვის. უკან?—ეს ერთობ გასაჭირია, უბრალო სტრატეგიული მოსაზრებაც კი ეწინააღმდეგება ამას. აბა, რა თავაქკაცეა მტრისკენ ზურგის მიბრუნება. ეს ექვსი თვეა ამ განსაცდელშია ჩვენი ერთათ-ერთი ყოველდღიური გაზეთი. ხან იქით გაექანება, ხან აქეთ, მაგრამ ამაოთ, თავის ადგილიდან ვერ ინძრევა. ცალი ფეხი პროგრესისტებისაკენ გაუწევია, მეორე კონსერვატორებისკენ. სურს ესენი შეაერთოს, დაამხანაგოს, დასობა ვის გაუგონია. ყველა ერთდა იმავე დასს წარმოვადგენთო, მაგრამ არ იქნა და არა, შეკერდებს არაფერი ესმით, ჯიუტები ყოფილან. ეს იმდენი შეგირდების ბრალი არ არის, რამდენიც თვითონ მასწავლებლის. საქმე იმაშია, რომ ამ დასთა მომრიგებელ-მოსაშუალეს სრულიად უყურადღებოთ დაუტოვებია კონსერვატორები და ბრძოლადარიგება მხოლოთ პროგრესისტებისაკენ მიუმართავს. მას არ აცვენებს ერთი გარემოება: რატომ უთუოთ ჩოჩხათის სასაფლაოზე აღმოჩნდა ახალი დასი და არა სხვაგანო? ხოლო ამ უსიამოვნო ამბავს რომ თავი დააღწიოს, ის იმშვიდებს გულს: არავითარი დასი არ აღმოჩენილა, მარტო გაზეთი „კვალი“ გამომდგარა და იძახის—ცალკე—მესამე დასი ვართო. მიუხედავათ ამისა, შემთხვევას არ უშვებს თავისი ისარი მისგან უარყოფილ დასს შესტყორცნოს და ამით კიდევ ერთხელ ეწინააღმდეგოს თავის თავს. ერთი ამგვარი ისრის ნატეხი, სხვათა შორის ჩვენამდისაც მოვიდა და იმედია შემდეგშიაც ასეთი წყალობა არ მოგვაკლდება. ეს მოწყალება კი გამოიწვია ჩვენმა წერილმა, რომელიც დასტამბული იყო „კვალში“ და შეეხებოდა „ივერიის“ ახალ მიმართულებას. სიმართლე მოგახსენოთ, ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ „ივერიის“ ასეთი მოულოდნელი ცვლილებისათვის. ამიტომ სწორეთ მადლობის ღირსია მისი ახალი თანამშრომელი ბ. ლალი, უეჭველათ პროგრესიული მოღვაწე; მაგრამ მოგეხსენებათ, მარტო კეთილი განზრახვა, რიგიანი მისწრაფება საკმარისი არ არის. „ივერიის“ პუბლიცისტს, მართალია, ჩინებული მიზანი აქვს, მაგრამ ის საშუალება რასაც ის ასახელებს, ის მოძღვრება ჩვენი ცხოვრების შესახებ, რომლის ქადაგს ის შედგომია, ერთობ კონსერვატორიულია და არავითარი კავშირი არ აქვს არც მის მიერ მოწონებულ მეცნიერებასთან და არც მის იდეალთან. შეიძლება, მკითხველს ეს გაუკვირდეს, დასარწმუნებლათ ვთხოვთ, ჩვენ გამოგვყვეს და მცირედი ყურადღება მოგვაპყრას, პირველათ აღვადგინოთ საკამათო საგანი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ კამათობაში ხშირათ ივიწყებენ მას, რამაც კამათობა გამოიწვია და ერთი ფეხ-მარდი გადახტომით სრულებით სხვა ნიადაგზე გადადიან.

„ივერია“ წერდა: „ხალხს და მის ლიტერატურას ჰყოფს მრავალ პარტიათ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება“. ცოტა ქვევით ასე განაგრძობს: მესამოცე წლების მწერლებმა „აღძრეს ერთი დიდი საგანი, ეროვნული თვითცნობიერება, ეროვნული თავის დაცვა და განვითარება ერისა ევროპიული სწავლა-მეცნიერების საშუალებით. დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთს პარტიას, ერთის აზრით გამსჭვალულს. საშუალება და სახსარიც ერთი და იგივე გვაქვს ამ აზრის განსახორციელებლათ; მაგრამ თუ ვინმე ახალს რომელსამე საშუალებას დაგვისახელებს, დავეთანხმებით, ოღონდ კი ეს საშუალება არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს აზრსა და არ არღვევდეს ჩვენის ერის საჭირო ერთობას. ზემოხსენებული აზრი ჩვენი უპირველესი წადილია და უახლოესი საფეხური, ეტაპი, რომელსაც უნდა მივაღწიოთ“ (№ 15). ახლა ვიკითხოთ, რა ეტაპი აქვს ავტორს მხედველობაში! თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება, თუ ეროვნული თავის დაცვა? ამის გამოსაცნობათ დავიხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთ მისი მეორე წერილი (№ 19). აქ ვკითხულობთ: „ყოველმა ჩამორჩენილმა ერმა უნდა იმუშაოს თავის კულტურის ამაღლებისა და წარმატებისათვის. „მაგრამ ამას ეწინააღმდეგებიან ერთხელვე დამკვიდრებული ჩვენში ისტორიული გარემოებით გარეშე ძალები“: მაშ, თუ ეს ასეა, ეკონომიური ბრძოლა აქ არაფერს შუაშია, და დიდათ საეჭვოა, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა ბრძოლამ სამოთხის კარებამდის მიიყვანოს ბ. გ. წერეთელი და მისგან აღმოჩენილი მესამე დასიო“. ახლა პასუხი აშკარაა, ავტორს მხედველობაში აქვს ეროვნული კითხვა და არა პოლიტიკო-ეკონომიური. ჩვენ ეს ასე გავიგეთ და თანახმათ ამისა ვუპასუხეთ: დამოკიდებულ ერებში, მიუხედავათ იმისა პოლიტიკური თავისუფლება არის თუ არა, დასები ყოფილან და არიან. ამის გამო „ივერიამ“ დასტამბა ჩვენდა საპასუხოთ ორი ფელეტონი ასეთი სათაურით: „უახლოესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა“. (№ 65, 69). აქ საკამათო საგანი სრულებით დაუვიწყია და მხოლოთ ბიუროკრატიულ „ზედ-შენობის“ შესახებ ლაპარაკობს. ეროვნული თავის დაცვა და „ზედ-შენობა“—ეს ორი სხვა-და-სხვა კითხვაა: მათი ერთმანეთში არევა, ერთის მაგიერ მეორის ჩასმა პოლემიკური ხერხია და მეტი არაფერი. ჩვენს ინტელიგენციაში ჯერ კიდევ სადაოა, ამ ორ კითხვას შორის არსებობს რაიმე კავში თუ არა. თვითონ „ივერიას“ არა ერთხელ გამოუცხადებია, რომ ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს ის, რაც რუსეთის ახალგაზდობას ამოძრავებსო. აი, მაგ. მისი სიტყვები: „ვისურვებთ, რომ ჩვენი ახალგაზდობა საფუძლიანათ ჩაუფიქრდეს და აწონოს ისა, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობს რუსეთის განათლებულ თაობასა და ქართველ განათლებულ თაობას შორის. რაც შეუძლია და შეშვენის დიდ ოჯახს, პატარა ოჯახი იმას ვერ აიტანს და ახირებული იქნება ასეთი პრეტენზია დიდ-კაცობაზე პატარისაგან (1893 წ. ივლისი)“. რაკი ეს ორი სხვა-და სხვა საგანია, მაშ რა უფლება ჰქონდა, ჩვენს მოპასუხეს კამათი ერთისაგან მეორეზე გადაეტანა და თუ გადაიტანა, რატომ არ აღნიშნა? ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ ამ ორ კითხვას შორის მართლა არავითარი კავში არ არსებობდეს; არა, ჩვენ გვსურს მხოლოთ კამათობის წეს-რიგის დაცვა და მწერლობიდან ხრიკების განდევნა.

ახლა კი გადავყვეთ ავტორს იქით, საითკენაც თვითონ გამგზავრებულა, ხოლო გზა-და-გზა გავშინჯოთ მისი ეკონომიური წერილებიც და ბოლოს გამოვიყვანოთ, თუ რა რჯულის პროგრესისტებს უნდა ვაკუთვნოთ, განახლებული „ივერია“ და მისი ახალი თანამშრომელი.

პირველი კითხვა, რომელსაც „ივერია“ წაატყდა და გადაჭრით კი ვერ გადაჭრა, არის კითხვა ეროვნობის შესახებ. რას ნიშნავს ეროვნული პრინციპი, ეროვნული განვითარება, ეროვნობა? აი, რა არის გასარჩევ-გასარკვეველი. „ივერია“ ხშირათ უტრიალებს ამას, უვლის გარშემო, ებღაუჭება ხან ერთი მხრით, ხან მეორეთი, მაგრამ ამაოთ? კითხვა მაინც კითხვათ რჩება. „ივერიიდან“ ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს: ეროვნული პრინციპი წამოყენებულ იქმნა მესამოცე წლებში და გადმოეცა დღევანდელ მწერლობას; 2) ეროვნობის საქმეში „ეკონომიური ბრძოლა არაფერს შუაშიაო“ *); 3) „ჩვენს („ივერიისას“) ეროვნულ პრინციპს საფუძვლათ უდევს მთელი ერის ყოველმხრივი განვითარება, რათა ამით ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიტანოს წვლილი კაცობრიობის საერთო კულტურაში“ (№19, 69). ამ გვარათ, ეროვნული განვითარება ყოფილა ერის ყოველ მხრივი ვითარება, ეკონომიური განვითარების გამოკლებით. ასეთია პასუხი, ასეთია მისი ეროვნება! რა არის საჭირო ერის ასეთი უშინაარსო განვითარებისათვის? „ამისათვის საჭიროა, რომ ერის ცხოვრებას ხელს არ უშლიდეს არავითარი გარეშე გარემოებაო“, გვეუბნება გაზეთი. მაგრამ, ერმა, რომ ეს გარეშე გარემოება დაძლიოს, თავიდან მოიშოროს, საჭიროა, ის იყოს განვითარებული, გალონიერებული. „ივერია“ კი გვეუბნება, ის ვერ გალონიერდება მანამდი, სანამ თავისუფალი არ არისო. რანაირათ გამოვიდეთ ამ მოჯადოებულ წრიდან? განუვითარებელია, იმიტომ რომ თავისუფალი არ არის.

---

*) „ივერიის“ წერილების გარჩევა ერთობ ძნელია. არ არის არც ერთი დედა-აზრი შიგ გამოთქმული, რომელიც იქავე, ან მეორე ადგილს არ იყოს დარღვეული. ეს აშკარათ გამოარკვია ბ. „ქართველ მკითხველმა“! ამისათვის შეიძლება ჩვენც ისეთი პასუხი მივიღოთ როგორიც მიიღო ქართველ მკითხველმა: მაგ კითხვებს პასუხი იქავე, ჩემს წერილებშიაო. სწორეთ რომ არის. ერთ ადგილას ამბობს „ეკონომიური ბრძოლა არაფერს შუაშიაო“, ხოლო როცა ჩვენ შევნიშნეთ, რომ ეროვნული ბრძოლა შენდება ეკონომიურ ინტერესებზე-მეთქი, ასე წერს: „რომ ხალხმა შეიგნოს და შეიყვაროს ეროვნული იდეალი საჭიროა მის სარჩულათ დაედვას მატერიალური — განსაზღვრული რეალური ინტერესებიო“. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ლოღიკურ ნასკვებს. ჩვენ გვსურს მხოლოთ ამ არეულობაში სისტემა შევიტანოთ. რაც მალათ მიწებებულია გამოვაცალოთ და გულ-ღვიძლი გადმოვშალოთ.

თავისუფალი არ არის, იმიტომ რომ განუვითარებელია. საით არის გასავალი? ავილოთ მეორე მაგალითი: „ივერია“ ამბობს: „რომ ხალხის თვითცნობიერება იქმნას აღდგენილი, სოფელში უნდა დატრიალდეს ინტელიგენცია და ამ მხრით იმოღვაწოს, ხოლო, ასეთ მოღვაწეობას კი წინ ეღობება „იგივე „ზედ-შენობა“, რომელმაც რუსეთის ინტელიგენციის მოძრაობა შეაჩერა“. აქაც წრეში ვტრიალებთ: ხალხი თვით-ცნობიერებას მოკლებულია იმიტომ, რომ „ზედ-შენობა“ ხელს უშლის. „ზედ-შენობა“ ხელს უშლის, იმიტომ რომ ხალხი თვითცნობიერებას მოკლებულია; ხალხის განუვითარებლობა „ზედ-შენობის“ ბრალია, ზედ-შენობის არსებობის მიზეზი ხალხის განუვითარებლობაა და სხ.. ან კიდევ: კაპიტალიზმის არსებობისათვის საჭიროა პროლეტარიატის არსებობაო, მაგრამ მეორე მხრით, პროლეტარიატის არსებობისათვის საჭიროა კაპიტალიზმის არსებობაო. კაპიტალიზმი ვერ გაჩდება უპროლეტარიატოთ, პროლეტარიატი უკაპიტალიზმოთ; კაპიტალი აჩენს პროლეტარს, პროლეტარი—კაპიტალს. ერთი სიტყვით ეს კითხვები ატრიალეთ როგორც გსურსთ, ვერც თავს უპოვით და ვერც ბოლოს. „ივერიამ“ და „მოამბემ“ ჩაგვიკეტეს კარები და დაგვტოვეს. საკვირველი ის არის, რომ ასეთ ჯაობახში დამწყვდეულთ გვარიგებენ, „იმოქმედეთო“. „ივერია“ წერს, ჩვენში მშრომელი ხალხი სოფლათ არის და არა ქალაქად, მაშასადამე ინტელიგენციაც სოფელში უნდა წავიდეს, ამას კი გარეშე გარემოება ეღობება წინ. დასკვნა ასეთია: „ამ გარემოების მიხედვით ჩნდება მოღვაწეობის ასპარეზი ახალგაზდობის მოწინავე რაზმისა“. მოდით და გაიგეთ ეს! ქალაქში საჭირონი არ არიან. სოფლათ კი ვერ წავლენ, მაშ სად უნდა იმოღვაწონ? მეორე პლანეტაზე? ცხადია, სამოქმედო ასპარეზი აღარ ყოფილა და სიტყვა „იმოქმედეთო“ ფუჭი და უშინაარსოა. აი, რანაირ მახეში გაბმულა ჩვენი „ივერია“. აქედან გამოსვლა რამდენიც უნდა იმეცადინოს, აღარ შეუძლია.

ასეთი უკუღმართი მსჯელობა ხშირია ევროპიულ მწერლობაშიაც. აქ ერთს მაგალითს დავასახელებთ. 1847 წ. მარქსი და ენგელსი ცნობილ „მანიფესტში“ მუშა ხალხს ურჩევდენ პოლიტიკური უფლების მოპოებას და ამის საშუალებით ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამის წინააღმდეგ ამხედრდა მაშინდელი პროგრესიული მწერლობა და გაიმართა პოლემიკა. ესენი ამბობდენ: ეს აზრი ჩინებულია, მაგრამ განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, პოლიტიკური უფლების შეძენის და მოხმარებისათვის საჭიროა ცოდნა, განათლება, მაშასადამე სიმდიდრე. მუშა ხალხი კი ღარიბია, მაშასადამე უვიციც. რა ნაირათ შეუძლიათ ამ უვიცა განათლებულ ბურჟუაზიას შეებრძოლოს და პოლიტიკური ძალა წაართვას? ამნაირათ ასეთი წრე გაკეთდა: მუშა ხალხი უვიცია, იმიტომ რომ ღარიბია, ღარიბია იმიტომ რომ უვიცია, უვიცია, იმიტომ რომ ღარიბია, და ასე მუდამ. კაცს ჰგონია ამაზე უძლიერესი ლოღიკა არც კი შეიძლებაო. შემდევ ცხოვრებამ გვიჩვენა, თუ რამდენათ უსაფუძვლო იყო ასეთი მოსაზრება. მუშა-ხალხი დაადგა მარქსის მიერ ნაჩვენებ გზას და ისე გაძლიერდა, როგორათაც დღეს ვხედ.ვთ.—ბუნების მეტყველებაში ერთხელ დავა იყო, ქათამი გაჩნდა უმალ, თუ კვერცხიო. თუ ქათამი არ იყო, კვერცხიც ვერ იქნებოდა, რადგანაც კვერცხს ქათამი იძლევა; თუ კვერცხი არ იყო, ქათამიც ვედ გაჩნდებოდა, რადგანაც ქათამი კვერცხიდან იჩეკება. კვერცხი ვერ გაჩნდება უქათმოთ, ქათამი უკვერცხოთ. ლოღიკა ნამდვილია. ამის გადაჭრა არ შეეძლო მაშინდელ მეცნიერებას. რატომ ხდება ყველა ეს? საქმე იმაშია, რომ ესენი მეტაფიზიკები არიან. ცხოვრებას უყურებენ არა, როგორც პროცესს, განვითარებას, არამედ, როგორც გათავებულ, დათხკუთხებულ მოვლენას. ლამარკ-დარვინის თეორიამდი ბუნების მეტყველებაში ის აზრი იყო, რომ ცხოველთა გვარნი ცალ-ცალკე, ერთმანეთის დამოუკიდებლათ არიან გაჩენილიო, (აგასისი). მაშასადამე ახსნაც არ შეიძლება კვერცხი გაჩნდა უმალ, თუ ქათამი. მხოლოთ დარვინის ევოლიუციონურ მოძღვრებამ საშინელ უბრალოთ გახსნა ეს კვანძი. ასევე იყო სოციოლოგიაში, რის გამოკვლევა ვერ შეიძლეს მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებმა და მეცხრამეტე საუკუნის ისტორიკოსებმა, ის კარლ მარქსმა გაარკვია და თვალსაჩინოთ გახადა. *). „ივერია“ იმით განირჩევა ყველა ამავებისაგან, რომ ის შემცდარი აზრები, რომელნიც ევროპაში ამ 50 წლის წინათ მეფობდენ, დღეს მას შეუთვისებ-შეუსისხლხორცებია. აი, ამ სათავიდან მომდინარეობენ „ივერიის“ ყველა დანარჩენი შეცთომები. მართლაც, თუ კი ცხოვრებას დავანაწილებთ და თითოეულ ნაწილს ცალ ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლათ გავსინჯავთ, უთუოთ ზემოთ მოყვანილ ლოღიკურ უკუღმართობას მივადგებით. თუ კი მოვლენას ვუცქერით ისე, როგორც დამთავრებულ დაბოლოვებულ რასმე, აშკარაა „ივერიას“ უნდა დავეთანხმოთ, როცა ამბობს: „ჩვენში კაპიტალის პატრო-

---

*) იხ. „Монистическій взглядъ на исторію“ Н. Бельтова С.-П. 1895 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნთა რიცხვი ძლიერ ნაკლებია და ფულიც იმათ ხელში ცოტა ტრიალებს“, აგრეთვე ცოტაა უმიწაწყლო მუშათა რიცხვი და მესამეთ, ბაზარიც აღარ გვაქვსო. აი ეს სამი გარემოება აფერხებს კაპიტალიზმის დამყარებას და ვერც დამყარდებაო *) (34). როგორც ხედავთ, ვეღარც კაპიტალი იმატებს, ვეღარც მუშათა რიცხვი და ვეღარც ბაზარი გაფართოვდება. რაღაც თილისმას, წინააღმდეგ განვითარების კანონებისა, ესენი ერთ ალაგას გაუჩერებია, გაუყინავს და „ივერიისთვის“ ჩაუბარებია, აბა, შენ იცი ამ ჩემ სასწაულ-მოქმედებას როგორი სამეცნიერო საფერავით გაალამაზებო. ასეთია ლოღიკა, ასეთია შეხედულობა. ამ ნაირათ ჩვენ გამოვარკვიეთ „ივერიის“ თვალთახედვის ისარი, მისი მეცნიერული საზომი. ეს ყოველგან ერთი და იგივეა: მოვლენის განხილვა არა, როგორც განვითარება, არამედ როგორც ერთ წერტილზე დამდგარი, გაქვავებული, უძრავი; მოვლენა არსებობს, ან არ არსებობს, არის „ჰო“—ან—„არა“. მეთოდი მეტაფიზიკურია. ხოლო მეცნიერებამ უკვე იცის, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ და იმავე დროს არსებობს და არც არსებობს. „ჰოც“ არის ᲓᲐ „არაც“. არსებობს—ეს იქიდან ჩანს, რომ მოვლენა წარმოებს, არ არსებობს— ეს კი იქიდან, რომ ის მუდამ ცვლილებაშია, ერთი მისი შემადგენელი ელემენტი ირღვევა და მის ალაგას მეორე, ახალი დგება. ეს რღვევა-შენება, წარსული და მომავალი, რეგრესი და პროგრესი შეადგენს მოვლენის განვითარებას, მის ევოლიუციას. ამ პროცეს გარეთ მოვლენა არ არის. მეთოდი მეცნიერულია.

ნ. ჟორდანია

(შემდეგი იქნება)

*) ალბათ ამიტომ აცხადებს წინდაწინ ეროვნობის საქმეში ეკონომიურ ბრძოლას ადგილი არ აქვსო.

# საშინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მოთხრობისა „პირველი ტალღა“

შემდეგი *)

## VII

დიდხანს იყვენ უძრავათ მარო და დათა და მიჩერებოდენ ერთმანეთს, სახე გაბრწყინებულნი, გულატოკებულნი.

— რა ამბავია, როგორ გაჩუმდით? ნუ თუ სათქმელი არა გაქვსთ რა ერთმანეთისთვის? დაარღვია ბოლოს სიჩუმე კოწიამ.

— გვაქვს, ერთობ ბევრი გვაქვს და იმიტომ არის, რომ ვერაფერს ვლაპარაკობთ. არ ვიცით, საიდან დავიწყოთ, რომელი ერთი ვთქვათ, ხომ, დათა?— დაეკითხა მარო დათას.

— ალბათ, ბატონო... თქვა ყურებიანა გაწითლებულმა დათამ. ამას შემდეგ, თითქოს დაწყებას უცდიდენო, ბევრი რამ უთხრეს მარომ და დათამ ერთმანეთს ენით და კიდევ უფრო ბევრი თვალებით.

კარგა ხანი იყო გასული, როცა მოისმა მაროს ოთახის კარის გაღება და მერე ბავშის ჩქარი ფეხის ხმა.

— ჩემი გიჟი მოდის! თქვა თვალებგაბრწყინებულმა მარომ. მართლაც კარი გაიღო და ოთახში შემობაჯბაჯდა პატარა დათიკო, რომელსაც გამდელიც თან შემოჰყვა.

— დედა, დაიძახა ბავშმა და გაიქცა მისკენ.

— აი, ბიძია; მიდი, ხელი ჩამოართვი და აკოცე, უთხრა მარომ შვილს. ბავშმა შეჰხედა დათას და გაიღიმა.

— ჩვენ ვნახეთ კიდეც ერთმანეთი და ვაკოცეთ ერთმანეთს, თქვა დათამ, წამოდგა და მოჰკიდა ხელი ბავშს.

— მაშინ ისე ვაკოცე მხოლოთ, როგორც შვენიერს არსებას და ახლა კი ისე უნდა ვაკოცო, როგორც თქვენს შვილს, დაუმატა მან, აიყვანა ხელში პატარა დათიკო, აკოცა რამდენიმეჯერ და დაისვა მუხლზე.

— სად, როდის? გაკვირვებით იკითხა მარომ.

— კი, ბატონო. ამ დილას „რომჩაში“ იყო ეს ყმაწვილი და იქ აკოცა დათიკოს, თქვა გამდელმა, რომლისთვისაც აქამდის ყურადღება არავის მიუქცევია და ამნაირათ მოაგონა თავისი თავი მოსაუბრეთ.

— მართლა!.. აბა, ძიძა, თუ იცნობ ამ ყმაწვილს? მიჰმართა ღიმილით მარომ გამდელს.

— მეც ვუყურებ, მარა რომ ვერ მოვიგონე,

*) იხ. „კვალი“ № 27

თქვა გამდელმა: სალალა ქე მინახავს, მარა სად მინახავს, არ ვიცი.

— დათა მერცხალაძე გახლავართ, აღარ გახსოვართ? თქვა დათამ და მივიდა გამდელთან ხელის ჩამოსართმევათ.

— უი, უი, შენ გენაცვალე! კოწიას უჩიტელი?.: მახსოვხარ, შვილო, როგორ არ მახსოვხარ, მაგრამ დავბერდი, თვალში სინათლე აღარა მაქვს და შენ კი გამოცვლილხარ. დავაშკაცებულხარ! მაშინ ძლივს გეტყობოდა ულვაში და ახლა კი სულ შებუმბლულხარ, უთხრა გამდელმა და ხელის ჩამორთმევასთან ერთად, ჩვეულებისამებრ მხარზე აკოცა დათას.

— ყველა, ყველა, მაგრამ გულის სიამოვნებამ კუჭის მოთხოვნილება როდი უნდა დაგავიწყოს, თქვა ცოტა ხნს შემდეგ კოწიამ და დახედა საათს. აგერ ორი საათი შესრულდება.

— წავიდეთ „როშჩაში", სადილი ვჭამოთ და იქ განვაგრძოთ ჩვენი მუსაიფი, დაუმატა მან და წამოდგა ფეხზე.

— კარგი, კარგი, თქვა მარომ: მუსიკაც იქითურ როშჩაში უკრავს დღეს და მუსიკას შემდეგ დათაც წავიყვანოთ და კნეინა ბარბალესთან წავიდეთ. სულ საყვედურს მეუბნება, როცა მნახავს, რა არის, რომ ჩვენ სალამოებს არ ესწრებიო?

— მართლა, დღეს სამშაბათია! თქვა კოწიამ და მიუბრუნდა დათას: ჩვენ „ქურ-ფიქსებიც" კი შემოვიღეთ აბასთუმანში და სულ მაღალ-მაღალ მატერიებზე გვაქვს ხოლმე მსჯელობა! აბა, ჰნახე, რა ორატორები გვყავს...

— კარგია! უთხრა დათამ.

— ხუმრობა იქით იყოს და შენ, როგორც მწერალი, ბევრ მასალას იშოვი აბასთუმანში ჩვენის ცხოვრებისას, ნამეტურ ჩვენი მაღალი საზოგადოების გაცნობა თუ გინდა, აბასთუმანს უნდა ჩამოხვიდე კაცი და უყურო ამ ჩვენ დონკი-ხოტებს!.. იცი, რა გითხრა, დათა? მე რომ წერა შემეძლოს, მხოლოთ ერთ მოთხრობას დავწერდი და ამ მოთხრობაში, როგორც სერვანტესმა აიგდო სასაცილოთ და მიწასთან გაასწორა მაშინდელი წეს-აგებული რაინდობა, გამოვიყვანდი ჩვენს წეს-აგებულ და ნიადაგ გამოცლილ არისტოკრატიას მთელი ქვეყნის სამასხაროთ! – ეუბნებოდა გზაზე აღფრთოვანებული კოწია დათას.

— აბა, სცადე. იქნება, მოახერხო კიდეც! უთხრა დათამ.

— მე არ შემიძლია წერა და, აი, შენ ყურადღებას ვაქცევ ამ ტემაზე.

— მე მაგრე რიგათ ვერ ვიცნობ ჩვენ არისტოკრატიას, რადგან შემთხვევა არ მქონია, დავკვირვებოდი და არც სატირიული ნიჭი მაქვს, თვარა დიდი სიამოვნებით ვიკისრებდი ამ საქმეს შენის თქმის არ იყოს, ამაზე უკეთესი და ხელსაყრელი ტემა ძნელია ახლა ჰნახოს ჩვენი ცხოვრების მეთვალყურემ.

— აკი, აგვიგო წესი ილია ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანში?" მეტი რაღა გინდათ? ჩაერია ლაპარაკში მარო.

— ჯერ ერთი „კაცია ადამიანის" გმირები ძველ დროს ეკუთვნიან, როცა ჯერ ისევ ბატონ-ყმობა იყო და მეორე, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია; ახლა კი სულ სხვა დროა და აღარც გადაჭარბებაა საჭირო, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა სასაცილოთ აიგდოს კაცმა! ყოველივე ჩვენი ცდა, რომ ჩვენი ძველი მნიშვნელობა შევირჩინოთ, არისტოკრატებათვე დავრჩეთ და ხალხში არ გავიქნათ; დონკიხოტისებური ქარის წისქვილებთან ბრძოლაა მხოლოთ და მეტი არაფერი! ჩვენი საქმე წასულია, როგორც მაღალის წოდების, და რაც უფრო ადრე შევიგნებთ ამას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის, რადგან წინაამდეგ შემთხვევაში სრული გადაშენება (вырожденiе) მოგველის! ამბობდა კოწია.

ამ ლაპარაკით მივიდნენ ჩვენი მეგობრები ქალატყეში, რომელსაც აბასთუმანში „მეორე", ან „შორეულ როშჩას" უძახიან და მოითხოვეს სადილი.

დუტუ მეგრელი.

(შემდეგი იქნება)

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.